თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1833006

ნომერი: AR1299985

თარიღი : 06.04.2015

გაცემის თარიღი : 14.04.2015

გაცნობის თარიღი : 14.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N199 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ბერუაშვილი პ/ნ 01019013522
- თბილისი ხევისუბნის ქ. კორ. 12 ბ. 63

ორგანიზაცია:
- შპს "სტრადა" კოდი: 200264800

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: ვინაიდან მოცემული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.13.02.001.018) ხვდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში (AR128176 განცხადებაზე სამსახურის მიერ გაცემული გადაწყვეტილება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება №75855), რომელიც გულისხმობს „დიღმის ჭალების“ ტერიტორიის საცხოვრებელი, საზოგადოებრივ–საქმიანი და რეკრეაციული ფუნქციებით განვითარებას, ხოლო ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მოცემულ მონაკვეთზე ორდონიანი სატრანსპორტო კვანძის მოწყობა და "დიღმის ჭალებიდან" გამოსასვლელის ჩართვა მთავარ სატრანსპორტო ქსელში, რათა შესაძლებელი გახდეს სანაპირო სატრანსპორტო მაგისტრალის (ამ შემთხვევაში ბელიაშვილის ქ.) გაგრძელება, იმისთვის რომ ის გახდეს მთავარი ღერძი დიღმის ჭალების ავტოსატრანსპორტო მოძრაობის უზრუნველყოფისას და ასევე, აღნიშნული საკადასტრო ერთეული უშუალოდ ემიჯნება იმ სატრანსპორტო კვანძს, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა უახლოეს მომავალში დაიწყოს, მოცემული ტერიტორიით სარგებლობა შესაძლებელია დროებით, მშენებლობის უფლების გარეშე, შესაბამისად სამსახურის მიერ 04.12.2012 წ. №456992 გადაწყვეტილებით უკვე გაიცა I კლასის დროებითი ლითონის ღობისა და სარეკლამო დროშების მოწყობაზე წერილობითი თანხმობა, რომელიც ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე იქნება დემონტირებული. გარდა ამისა, სერვიტუტზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე კაპიტალური ღობის მოწყობა ამ ეტაპზე შესაძლებლად არ მიაჩნია და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.